

ღრმა ზღვის ტურბიდიტული სისტემები:

ნამარხი ნაკვალევები და იქნოფაციისი

დავით მაისურაძე

david.maisuradze432@ens.tsu.edu.ge

გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,

ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

უნივერსიტეტის ქ.13, თბილისი, საქართველო, 0186

ღრმა ზღვის ტურბიდიტული სისტემები ფორმირდება გრავიტაციული ნაკადების მოქმედების შედეგად და ხასიათდება რთული აგებულებით. მნიშვნელოვანი განსხვავებაა წვრილმარცვლოვან და მსხვილმარცვლოვან ტურბიდიტულ სისტემებს შორის: წვრილმარცვლოვანი სისტემები, როგორც წესი, ლამითა და თიხით მდიდარი ნალექებისგან ფორმირდება სტაბილურ, დაბალენერგიულ პირობებში, რაც ხელს უწყობს მრავალფეროვანი და უხვი ნამარხი ნაკვალევის შემონახვას. პირიქით, მსხვილმარცვლოვანი ტურბიდიტული სისტემები უფრო ქვიშიანი და ეროზიულია, დალექვის სწრაფი ტემპით, რაც ზღუდავს ნამარხების შენარჩუნებას.

ტურბიდიტული სისტემები მდიდარია როგორც პრე-, ისე პოსტდეპოზიციური ნამარხი ნაკვალევებით, რომლებიც მიეკუთვნებიან შემდეგ ეთოლოგიურ ტიპებს: *Pascichnia*, *Fodinichnia*, *Agrichnia*, *Chemichnia*, *Domichnia* და *Repichnia*. ღრმა ზღვის ტურბიდიტული სისტემები შეიცავენ დამახასიათებელ ნამარხ ნაკვალევებს, რომლებიც მიეკუთვნება *Nereites*-ის იქნოფაციისს (*Knaust, D. & Bromley, R.G. 2012*). *Nereites*-ის იქნოფაციისი იყოფა სამ იქნოსუბფაციისად:

- ტურბიდიტებისთვის დამახასიათებელი *Ophiomorpha rudis*-ის იქნოსუბფაციისი (გამოტანის კონუსის არხის და პროქსიმალური ნაწილის სქელშრეებრივი ქვიშაქვები);
- ქვიშიანი, საშუალო-თხელშრეებრივი „ნორმული“ ფლიშისთვის დამახასიათებელი *Paleodictyon*-ის იქნოსუბფაციისი;
- ლამით მდიდარი დისტალური ფლიშისთვის დამახასიათებელი *Nereites*-ის იქნოსუბფაციისი.

ნამარხი ნაკვალევის სისტემები მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის პალეოგარემოს ფაქტორებზე, როგორებიცაა ჟანგბადის დონე და ნალექის დინამიკა, რითაც საშუალებას გვაძლევს უკეთ შევისწავლოთ ღრმაწყლოვან ტურბიდიტულ გარემოში მიმდინარე ბენტოსური აქტივობა და სედიმენტაციური პროცესები.